



გამოუკმა ეძღვნება  
ძვალთბულ წინაპართა  
ნათულ ხსოვნას



ქართული კულტურის ყველა მსახურს, საქართველოს ეკლესიას, ქართველ ხალხს ზულთცაჲ საგალთმელთა ამ კრებულის გამომცემას.

მასში პირველად იქნება სრულად თავმოყრილი საღა-გამმეზენი კილას მწიგნობრის, ცისკრის (თავისი ზჲა ხმის საგალთმელებით) და წიგნის (ბოგობტ მღვდლის, ისე სამეფოთ წიგნის) ცვიპიკონიკად დალაგებული საგალთმელები და ამდენად იგი იქნება ამ სახის პირველი გამომცემა ჩჲენი ისტორიის მანძილჲჲ.

მეიბლემა თამამად ითქვას, რომ მეფე ქართული გალთმა არის საეკლესიო ცტადიციის წმიდად დამცველი, მეორეველი, უმჯელესი და ამასთან შეასაუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალთმელებს მობრის ერთადერთი მზაჲლსმიანი, ანალთგიის აბმეღენე ჰლითუნია, რაც მის უნიკალუბრთმას განაპიბრთმებს: ამიციმაც ამ გამომცემას დიდი მნიშვნელთმა აქვს იმ თჲალსაზბრისითაც, რომ მსოთლით გაეცნოს ჩჲენს სიმათლეებს, ჩჲენს დიდებულ მეზვიდრეობას.

არ მეიბლემა არ აღინიშნოს ის უდიდესი ღჲაქლი, რაც XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახეჲარში გასწიეს ბოგობტ სასულიერო, ისე საერო პირებმა: წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქობე), წმიდა ალექსანდრე (დებოპიბი), წმიდა ილია მართალმა (ქაჲჲაჲაჲე), თლითმონ ქობიბე, ძმებმა კარბელამვილებმა, ილუმენმა ექვთიმე კრესელიბე, ღჲანლზმა რაჲდენ სუნდაბე, მღვდელმა ალექსანდრე მლლდინამვილმა, მღვდელმა გრიგოლ მღებრთმვილმა, ანცილ და დავით ღუმბაბებმა, მღვდელმონლზმონმა მელქისედეკ ნაჲაშიბე, მღვდელმა ნესციორ კონციბიბე, მღვდელმა არისცილელ ქოთათელაბე, მაქსიმე მარბე, არციე ერთლიმამვილმა, და სხვებმა, რომელთაც ეს უნიკალური მეზვიდრეობა მთამლმეჲლთმას შემოუნახეს.

მინდა აღვნიშნო ჩჲენი ახალგაზბრების მონდობეზაც; მათ ქლეების მანძილჲჲ დაულალაჲად იბრთმეს, რათა ჩანაწებები შეესწავლათ, დაეშეზაჲბინათ და გამომცემისათვის მლემზადებინათ.

ელველიჲჲ ეს დანციური იმისა, რომ ჩჲენი ქარსული ციცსლთმს და სულიერად გჲანაზბრელებს, რომ ქართული სული ღვივის და ჩჲენი თანამებდრეობმა უმჯელესი თესჲებინან კჲლაჲაც უხჲად საზბრეობს.

დიდება და მადლი ღებრთს ყველათბრისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი



ქართული საეკლესიო გალობა

გელათის სკოლა

I ტომი

IV გამოცემა

მწუხრი - ტისკარი - წირვა

წმ. ექვთიმე აღმსარებლისა (კერესელიძე)

და დეკანოზ რაჟაყენ ხუნდაძის

ხელნაწერების მიხედვით



Georgian Church Chant

Gelati school

Vespers - Matins - Liturgy

თბილისი

2006

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების - ლამისთევის ლოცვისა და ლიტურგიის - საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში შესულია გელათის საგალობო კილოს 255 საგალობელი, რომლებიც საღმრთისმსახურო წიგნების მიხედვით ტიპიკონურადაა გამართული. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად კი ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ახალი გამოცემა გარკვეული ცვლილებებით იმეორებს წინამორბედს. ეს ეხება ალტერაციის ზოგიერთ ნიმუშს; გარდა ამისა, თუ წინა გამოცემის მწუხრში საგალობლის - „აწ განუტევე“ - ჩვენს მიერ ხმაზე გაწყობილი სამი ვარიანტი იყო შემოთავაზებული (იმ ხანად „ბ“, „გ“ და „ე“ ხმის დედნები არ გაგვარჩნდა), წინამდებარე კრებულში გთავაზობთ აღნიშნული საგალობლის დედნისეულ ვარიანტებს. ამ გამოცემას თან ახლავს 24 საგალობლის ფონოჩანაწერი, რომელთაც ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“ ასრულებს.

წიგნის ხელახალი გამოცემა განაპირობა მასზე მგალობლებისა და მორწმუნე მრევლის დიდმა მოთხოვნილებამ. იგი განკუთვნილია მართლმადიდებლური ტაძრის გუნდებისა და სპეციალისტთა წრეებისათვის.


**The present edition is a collection of church canticles - old professional music models. It consists of 255 canticles of Gelati hymn mode, which are arranged according to the divine service series. It is the first attempt of musical editing of note records done on the brink of XIX-XX centuries and it has been fulfilled taking into account the experience of Anchiskhati choir.**

**The book is intended for choruses of orthodox churches and circle of the experts.**

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: მალხაზ ერქვანიძემ  
რედაქტორი: კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი

**The collection has collected to the education and has prepared: Malkhaz Erkvanidze  
The editor: The composer Nodar Mamisashvili**

© სტრუქტურულად საღმრთოთა საპატრიარქოს  
საეკლესიო გალობის ცენტრი



„გელათში დღე და ღამე სულ თავაყულებლად გადანერაში ვიყავი, თანაჲ ნანერეშს ვადარებდი, რომ შერთომას არ გამპარვოდა.

ამათ წერის დროს შემოდიოდნენ ჩემთან ხანდახან ბერები და მორჩილები და მეტყობდნენ: ვაი, რა ტყუყური ხარ! რატომ-მეთქი მე ვეტყვოდი. იმიტომ, რომ როჯა შემოვდივართ დღე და ღამე სულ კრახივით დაყრდნობილი ხარ მავიდაზე, სულ სნერ! უფულოდ ტყულოთ რათ უჯირვეშ შენს თავს! ხოლო მე პასუხს ვეტყვოდი: მე მავაზე არა ვფიქრობ, თუ უფასოდ რადა ვმუქარობ-მეთქი, რადგან მე ამაში ვპოულობ დიდ სიძლიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქრო-ვერუხლოზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესია, საყყუნო საყუნჯა! მე არ ნარმომიდგენია როგორუ მუქთა საქმე, არა, არამედ მე ნარმოდგენილი მქვს ჩემი თავი, როგორუ ოქრომჭედელი და თვალ-მარგალიტის დაშლავებელი! მე ხანდახან ვაკვირვემაში მოვდივარ, ვინ მოუძვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიძლიდრე, რომ მე უღირსი იმაში ხელს ურევ

წმ. ექვთიმე აღმსარებელი  
(კერესელიძე)

„ . . . დაინკებოდა ლოჯვა თუ არა, მოანუდებოდა ეკლესიას ლოჯვის მსმენელი, ასე, რომ ეკლესიაში ტევა ძლივს იყო. ამგვარ საღვთო მსახურების მოსმენით, სულით და გულით დამტკნარნი მლოურველები, სრულიად ვერ ამჩნევდენ გლოობის მიზეზით ლოჯვის სიგრძეს; ნშიდა, საღვთო აზრებით გატარებულნი, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ, ძლივს, ძლივს, სულ გვიან ურიგდებოდენ საამქვეყნო ზრუნვათა ფიქრს და მოქმედებას, რადგან სასოებით დამტკნართ, კვლავ გულიდან არ შორდებოდათ ეკლესიაში ნავრძნობი სულისა და გულის დამამშვიდებელი საღვთო სიტყვები და ყურთა სმენის დამტკნობი, ზურად გონების აღმავლელები ხმები. ამ დროს ქართული გლოობას „ოქროს ხანა“ უღვა ჩვენში და დიდებულთა ყვაოდა იგი . . . ამის შემდეგ ნელ-ნელა „დრონი იყვანონ“, ახალი სწავლა-განათლებლის სიომ დაშერა და ახალი, მოზარდი, თაობა მას დაენაფა. სიყრმიდან მუდამ დღე, მუდამ ნამში, უწხო ხმების ყურში ჩაბერვამ, ძალაუნებურათ შეაჩვია, შეუსისხლობორუა უწხო ხმები, ისე რომ ქართული ხმები ქართველის სულისა და გულის ძველებრივის მესაფათარ ველარ ათბომს . . . ”

დეკანოზი რაყლენ ხუნდაძე

## წინასიტყვაობა \*

უგალობლით უფალსა ყოველი თესლები  
და აქებდით მას ყოველი ერი.

ფსალმუნი 116,1

ქართული კანონიკური გალობის აღდგენის საქმეში დღესდღეობით მოკრძალებული ნაბიჯებია გადადგმული. მისი განახლება პირველად ანჩისხატის საკათედრო ტაძარში დაიწყო. ანჩისხატის უძველესი ტაძარი ყოველთვის განთქმული იყო საგანმანათლებლო და სამგალობლო ტრადიციებით. XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე აქ მოღვაწეობდნენ ქართული გალობის აღმოსავლური სკოლის ერთ-ერთი შტოს – ე.წ. კარბელაანთ კილოს მგალობლები – ძმები (მღვდლები) კარბელაშვილები. ანჩისხატის ზარის უკანასკნელად დარეკვიდან დიდმა დრომ განვლო. მრავალწლიანმა ურწმუნობამ დალი დაასვა ერის ფსიქიკას, სულიერებასა და ზნეობას. წარსულისა და წინაპართა გამოცდილების უარყოფით, საუკეთესო ტრადიციებზე უარის თქმით, ჩვენ საფრთხე შევუქმენით საკუთარ მომავალს. ჭეშმარიტი იდეა, როგორც სარწმუნოებრივი, ისე ეროვნული თვალსაზრისით, ღმერთივით ერთია მუდამ. ჟამთა დინებაში მან შეიძლება გარეგნული ფორმა შეიცვალოს, მაგრამ თავისი არსით იგი უცვლელია: მართლმადიდებლური ქრისტიანობით იცხოვრა საქართველომ ათას შვიდასი წელი და მას ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია, რადგან ესაა გზა ჭეშმარიტებისა, რომელსაც მარადიული ცხოვრებისაკენ მიყვავართ. ეკლესიური ცხოვრება ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის ცხოვრების – სულიერი გადარჩენის საფუძველთა საფუძველი და ერთადერთი საშუალება.

ქართული საეკლესიო ხელოვნება, რომელიც პირველ რიგში, ეკლესიისა და ღმრთისმსახურებისათვის იქმნებოდა, თავიდანვე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გამოვლინების ერთ-ერთი საშუალებაც იყო. დღეს, როდესაც საქართველოში ფაქტობრივად მოშლილია ქართული ყოფა თავის ბუნებრივ პირობებში, ეკლესიამ უნდა იტვირთოს ქართული ცნობიერება-აზროვნების შენარჩუნებისა და დამკვიდრების ურთულესი მისია. ამ მხრივ კი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული კანონიკური გალობის აღდგენის საქმე. ის, რაც გაკეთებულია, მხოლოდ ზღვაში წვეთია. დასრულებულია მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაო, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ეტაპი გაცილებით რთულია, ვიდრე მომდევნო ეტაპები იქნება ალბათ.

ქართული გალობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქართველი კაცის შემოქმედების, მისი სულიერი მდგომარეობის გამოვლინება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მისი ორი ძირითადი შემადგენელი: 1. სიტყვა ქართული, კანონიკური ტექსტი, გალობის მამოძრავებელი ძალა, რომელიც წარმოდგენილია ღმრთისა და უფლის წმინდანებისადმი სადიდებელ-სავედრებელი ლოცვის სახით. საგალობელში წარმოდგენილი სიტყვა ზედმიწევნით დახვეწილი სახისაა. სიტყვით შექმნა ღმერთმა ყოველი ხილული და უხილავი, ხოლო კაცისათვის სიტყვის უმთავრესი დანიშნულება და მიზანი ღვთის დიდება და ლოცვა-ვედრებაა; 2. ხმა – კანონიკური ჰანგი, სიტყვიდან გამომდინარე, რომელიც საკუთრივ ქართული მოვლენაა (ასეთი ხმები გალობა-სიმღერაში, ნიჭის გარდა, უპირველეს ყოვლისა, ნაყოფია საღმრთო მადლისა და ამისათვის უნდა ვმადლობდეთ უფალს). გალობა-სიმღერაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ჰანგი სიტყვიერი ტექსტის გარეშე სრულდება. ამ დროს იგი იმდენად მეტყველია, რომ უტექსტოდაც აღიქმება, როგორც ლოცვა-ვედრება ან განცდა ღმრთისა და მოყვასის სიყვარულისა. საგალობლის სიტყვა და ჰანგი, ერთმანეთთან ყოველად უჩვეულო სახით დაკავშირებული, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქართული მრავალხმიანობის ჯერ კიდევ ამოუცნობი ფენომენის ერთ-ერთ გასაღებს. ქართულ ენაში დამარხული საიდუმლოთაგანი ქართული მრავალხმიანობაცაა – ქართველი კაცისათვის ღმრთისაგან ბოძებული უდიდესი მადლი.

\* იბეჭდება მცირედი ცვლილებებით.

საერთოდ, მრავალხმიანობის თემა მრავლისმომცველია. მრავალხმიანობა საქართველოში ქრისტიანობამდე აღმოცენდა, ამისათვის აქ სათანადო ნიადაგი და პირობები არსებობდა. ქართულ მრავალხმიანობას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ერის სულიერ სათნოებათა განხორციელებას მუსიკაში. ქრისტეს ნათელის, წმინდა სამების მაღლის მობრძანების შემდგომ კი ის გაცილებით მაღალ ხარისხში ავიდა. ჩვენი ღრმა რწმენით, მრავალხმიანობის იდეის დაბადება ადამიანთა სულიერმა ერთობამ და სიყვარულმა შვა და განახორციელა, იმ პიროვნებათა თავისუფალი ნების ერთობამ, რომლებიც, სახარების მიხედვით, „ვითარცა ქვეყანასა ზედა დავარდნილი მარცვალისაებრ“ ატარებენ გულში ღმრთის სიტყვას და ქმნიან შესაბამის გარემოს ყოველგვარი სიკეთის აღმოსაგენებლად.

ქართულ მუსიკაში მრავალხმიანობის იდეის თავდაპირველობაზე უბრალო, შვიდსაფეხურიან კილოებზე აგებული ნიმუშების გარდა, უმარტივესი ტეტრაქორდული მაგალითებიც მეტყველებს. უაღრესად საინტერესოა, თუ რა აიღო ქრისტიანულმა გალობამ მანამდე არსებული წარმართული გალობა-სიმღერისაგან, შემდეგ კი საერო სიმღერამ – გალობისაგან; როგორ მოხდა გალობა-სიმღერის გამშვენება სამივე ხმაში ერთდროულად და ა.შ.

ქართულ მრავალხმიანობაში ქრისტიანული მოძღვრების მრავალი საიდუმლოს გასაღები ძეგს. არცერთ ქრისტიან ერს არ გაუმჟღავნებია მუსიკაში ყოვლადწმიდა სამების იდეა მსგავსი სახით. ყოვლადწმიდა სამების სიმბოლოს ქართულ მრავალხმიანობასთან მიმართების განმარტება ეკუთვნის დიდ ქართველ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს, იოანე პეტრიწს. ქართულ სამხმიანობაში არ არსებობს მთავარი და დამხმარე ხმები, სამივე თანასწორუფლებიანია, სამივე დამოუკიდებელი და, ამავე დროს, ერთმანეთზე დამოკიდებული: მთქმელისაგან გამოდის ორი სრულიად სხვადასხვა, მთქმელის სწორი, მთქმელივით შემოქმედი ხმა. ამ სამ ხმას მთლიანად ერთი ნება ამოდრავებს, „ვითარცა მამა შობს ძეს და მამისაგან გამოვალს სულიწმიდა. . . ყოველივე – მამისა, ძისა და სულიწმიდისა ერთ არს, გარდა უშობლობა მამისა, შობილობა ძისა და გამოსვლა სულისა“.\* ასევეა მრავალხმიანობის იმ ფორმაში, რომელშიც მთქმელი შობს მოძახილს და მთქმელისგან გამოდის ბანი. საგალობლისა და მსგავსი ხასიათის სიმღერების შესწავლაც მხოლოდ ასე ხდებოდა: ჯერ ასწავლიდნენ მთქმელის ხმას, რომელიც საგალობელში ყოველთვის ზედა ხმაა, შემდეგ მოძახილს და ბანს ცალ-ცალკე, მთქმელთან დამოკიდებულებაში, და საბოლოოდ ისე წვრთნიდნენ მოწაფეს, რომ მთქმელის ხმის გაგონებისთანავე შეეძლო მისთვის ნებისმიერი ხმის შეწყობა, როგორც სადა, ასევე გამშვენებული სახით. უფრო მეტიც, გალობისა და სიმღერის ოსტატებს ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე შეეძლოთ სამ ხმაში ერთდროულად შეექმნათ დასრულებული სახის მუსიკალური ნიმუშები, რომლებმაც ჩვენამდე „ლატარიულის“ სახელწოდებით მოაღწიეს. ასეთი სახის მრავალხმიანობას შეიძლება ეწოდოს სამების მრავალხმიანობა, რომელმაც ახალი თვისებები შესძინა მანამდე არსებულს და მაღალ ხარისხში აიყვანა იგი. სწორედ გალობაში დამკვიდრდა სამ ხმაში ერთდროული აზროვნება – კიდევ ერთი ამოუცნობი დიდი საიდუმლოება.

დღეს ხშირად გავიგონებთ: რატომ არ იქმნება ისეთი მაღალმხატვრული ნიმუშები სასულიერო თუ საერო მუსიკაში, როგორებიცაა „შენ ხარ ვენახი“, „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“ და სხვ. პასუხი აქ ერთია: რაც მათ ქმნიდა, ის „სპობილა და წარწყმედილა“; როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიყვარულმა და ერთობამ შვა იდეა მრავალხმიანობისა და ჩამოაყალიბა მრავალხმიანობის ფორმები. უკვე დიდი ხანია სიყვარული და ერთობა აღარა გვაქვს, ამისი სურვილი დავკარგეთ და ჩვენივე ხელით ვმარხავთ. თუ გადარჩენას ვფიქრობთ, დაკარგული უნდა დავიბრუნოთ, რადგანაც სხვა

\* იოანე დამასკელი. „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, ტ II. გვ. 117.

გზა არ არსებობს. უნდა აღდგეს ქართული მრავალხმიანობა და ქართული კანონიკური გალობა-სიმღერის სკოლა ქართული ცნობიერებითა და აზროვნებით; გალობა-სიმღერა მარტო მუსიკალური ხელოვნება და ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილი არაა – მისი აღდგენა მართლმადიდებლობის განმტკიცება და მისი ქადაგებაა. ამის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს, რადგან მუსიკა დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის გრძნობებსა და განცდებზე. არასასულიერო მუსიკამ (დიახ, მუსიკამ, მას გალობას ვერანაირად ვერ დავარქმევთ), ეფექტური აკორდების მონაცვლეობამ შეიძლება ბევრი მორწმუნე აატიროს კიდეც, მაგრამ ასეთი ზეგავლენა მოკლებულია რელიგიურ განცდას და თან საკმაოდ სახიფათოცაა. ნეტარი ავგუსტინე ჰიმნს, ანუ საგალობელს ასე განმარტავს: „თქვენ იცით, რა არის ჰიმნი? – ესაა გალობა, რომელიც განადიდებს ღმერთს; თუ აღიღებ ღმერთს, მაგრამ არ გალობ, ეს არ არის ჰიმნი, თუ შენ გალობ, მაგრამ არ აღიღებ ღმერთს, ამ გალობასაც არ შეიძლება ეწოდოს ჰიმნი.” რაც დაკანონებულია წმინდა მამების მიერ სულიწმიდით, რითაც იწრთობოდა ჩვენ წინაპართა სულები, მისი შეცვლა სხვა სულისკვეთების მუსიკით, თანაც შეუფერებლით, ყოველად დაუშვებელია. სამწუხაროდ, ზოგიერთი დადებითი მომენტის მიუხედავად, ქართული გალობის საქმეში დღეს განუკითხაობა და ქაოსია. მავანთა ქმედებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. სასურველია, რომ ერი თუ ბერი მეტ ყურადღებას უთმობდეს კანონიკური გალობის აღდგენას. სავალალო რეალობაა და „სატკივარი არა ფარავს“: „გალობის ქვეყანაში დიდი ხანია გალობა აღარ ისმის”.

ქართულ გალობა-სიმღერასთან მიახლებას სათანადო დამოკიდებულება უნდა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია გალობის შესწავლა. გალობის ძირი სადა კილოზე თქმული გალობაა; ესაა საფუძველი საქართველოში არსებული ყველა კილოსათვის, შემდეგ, სურვილისამებრ, შეიძლება მოხდეს გალობის გამშვენება. ქართული გალობა-სიმღერა ესაა საამო ზომიერების, ანუ სამეუფო საშუალოს განცდის შესანიშნავი მაგალითი, რომელსაც ასევე საამო ზომიერებით უნდა მივუდგეთ.

საკითხავია, დღეისათვის რა შეგვრჩა ხელთ იმ უმდიდრესი ეროვნული საუნჯიდან, რასაც ქართული გალობა-სიმღერა ჰქვია? დიდი მაგალობლები თითქმის ნახევარი საუკუნეა ამქვეყნად აღარ არიან. დაირღვა დროთა კავშირი, შეწყდა შესანიშნავი ტრადიციები, ქართულ გალობას აღარ შემორჩნენ გამგრძელებელნი, მემკვიდრენი, რომელთაგან უშუალოდ შეიძლებოდა გალობა-სიმღერის შესწავლა: ჩვენმა წინდახედულმა და გონიერმა წინაპრებმა დროულად იგრძნეს საშიშროება, რომელშიც მათი შთამომავალნი აღმოჩნდებოდნენ – მათ უამრავი სანოტო ჩანაწერი დაგვიტოვეს,\* და ამით გადაარჩინეს ქართული გალობა აშკარა დალუპვას, პირნათლად მოიხადეს რა თავისი მამულიშვილური ვალი ღმერთისა და ერის წინაშე. საამაყო და მისაბაძია მათი გარჯა და რუდუნება, რისი ნათელი დასტურიცაა ჩვენ მიერ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავში მოკვლეული ქართული სასულიერო კონცერტის აფიშა, რომლის ასლის გამოქვეყნება აქ საჭიროდ მივიჩნიეთ. ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ნოტებზე გადატანის ისტორია მოთხრობილი აქვს ექვთიმე კერესელიძეს,\*\* ნაშრომში „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა” (იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი Q 840). რაც შეეხება მის ავტორს – ექვთიმე კერესელიძეს, როგორც ჩვენი საზოგადოების მიერ ჯეროვნად შეუფასებელ ღვაწლმოსილ წინაპარს, მისი პიროვნება და ცხოვრება სამაგალითოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა აკეთო დიდი საქმე ამქვეყნად და, ამასთან, ასე შეუმჩნეველი დარჩე.\*\*\* ფილიმონ ქორიძის (1829-1911),

\* სანოტო ხელნაწერები ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში და ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრში.

\*\* 2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ილუმენი ექვთიმე (კერესელიძე) წმიდანად შერაცხა.

\*\*\* უფრო დაწვრილებით ე. კერესელიძის შესახებ იხ. ლადო გავაშელის სტატია „ქართული მუსიკის თავდადებული მოღვაწენი”, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება”, 1958, № 12, გვ. 65.

# ქართული სასულიერო კონსერტი

კონსერტი გაიმართება ოთხშაბათს, 16 და ხუთშაბათს 17 მარტს მღვდლის რაჟდენ ხუნდაძისაგან; ივლიობება უბეცესი ნაწილი ისეთი ქართული საეკლესიო საგალობლებისა, რომელიც ჩვენს ეკლესიაში აღარ თქმულა ამ 70 წლის განმავლობაში. ყველა გალობები დაწერილია ნოცებზე მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ (მისივე ხმით), როგორც თვით ქართული გალობის შეპირად მყოფდესი. ივლიობებს ორი ვუნდი; ერთი ასი (100) კაყისაგან, ხოლო მეორე (4) ოთხი კაყისაგან.

წინასიტყვაობას წაიკითხავს მღ. რ. ხუნდაძე  
1916 წელი

## განყოფილება I

1. დღეს საღმრთო მადლმან შეგვკრიბნა შეასრ. გუნდი
2. მოწყალეებისა კარი განვიღო { შეასრ. მღ. რ. ხუნდაძე  
მღ. პ. ცქიტიშვილი  
(ჭრელი) } მღ. პ. ცქიტიშვილი
3. ჩვენებით ისაია იხილა უფალი { დიაკ. პ. კუხიანიძე და  
დიაკ. ს. ანთაძე } დიაკ. პ. კუხიანიძე და  
დიაკ. ს. ანთაძე
4. ნეტარ არს კაცი (ხმა შეწყობილი სხვადასხვა კილოზე მღ. რ. ხუნდაძისაგან) } შეასრ. გუნდი
5. სასუფეველსა შენსა
6. ნუ მტირ მე დედაო (ჭრელი) } შეასრ. მღ. რ. ხუნდაძე  
მღ. პ. ცქიტიშვილი
7. ნათელი ნათლისაგან მოვლინებული { დიაკ. პ. კუხიანიძე და  
დიაკ. ს. ანთაძე } დიაკ. პ. კუხიანიძე და  
დიაკ. ს. ანთაძე
8. დიდება... მოციქულთა ვედრებითა შეასრ. გუნდი

## განყოფილება II

1. აქებლით ღმერთს... უფალო ძალთათ ჩვენთანა იყავ (კარანახით) შეასრ. ცქიტიშვილი, კუხიანიძე, ანთაძე და სასულ. სასწ. მოწაფე მჭედლიძე, მღ. ხუნდაძის კარანახით. } შეასრ. ხუნდაძე  
მღ. პ. ცქიტიშვილი  
კუხიანიძე და ანთაძე
2. სიბრძნე ღვთისა მოვიდა (ჭრელი) } შეასრ. ხუნდაძე  
მღ. პ. ცქიტიშვილი  
კუხიანიძე და ანთაძე
3. მხოლოდ შობილი ძე. (ხმა შეწყობილი ნოტებზე სხვა და სხვა ქარ. გალ. კილოზე მღ. რ. ხუნდაძისაგან) } შეასრ. გუნდი
4. პირველ ექვსი დღით პასექისა
5. შენ ღვთის შემოხელსა დედასა... } შეასრ. ხუნდაძე  
მღ. პ. ცქიტიშვილი  
კუხიანიძე და ანთაძე
6. ყლ. პატიოსანი გუნდი. . . . }
7. მოწაფეთა შესხმა: 1. ღირსი სვიმეონ } შეასრ. სასულ  
2. ეფემია ღ სოფიო } სასწ; 5 პატარა  
3. სამებისა მსახურთა } მოწაფეები  
4. მერცხალო მშვენი } მღ. რ. ხუნდაძის  
5. ჯაჭვი პეტრესი. } ლოტბარობით.
8. აწ განმითევნი მონა შენი, შეასრ. გუნდი

სწ.-მბეჭდვეი სტამბა ფერაძისა და კარანახოვის, ქუთაისში

რაჟდენ ხუნდაძის (1845-1929), ძმები ვასილ (1858-1936) და პოლიევქტოს (1855-1936) კარბელაშვილების კრებულებს, ექვთიმე კერესელიძის (1865-1944) ხელნაწერებს ემატება ფასდაუდებელი განძი — გალობის ფონოგრაფიები და კახი როსებაშვილის (1930-1988) მიერ გამოცემული ორი პატარა კრებული — გურული გამშვენებული კილოს საგალობლები.

ბატონმა კახიმ დიდი მგალობელ-მომღერლის არტემ ერქომაიშვილის (1887-1967) ფონოგრაფიული ნოტებზე გადაიტანა. მანვე ბატონი არტემისაგან ცალ-ცალკე ხმით ჩაიწერა ასი უდიდესი მონაპოვარი ქართული გალობისა.

ფონოგრაფიები განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანს ხდის გალობის აღდგენის საქმეს. ფაქტობრივად, გალობის პრაქტიკულ შესწავლაში იგი ერთადერთი მასწავლებელია. დღესდღეისობით ფონოგრაფიით შეგვიძლია ვისწავლოთ საგალობლის შესრულების წესი: ბგერის სწორად წარმოთქმა, მუხლების გალობა დამარცხილ-გადაბმული ფრაზებით, გალობის დინჯი ტონით, სამივე ხმის ერთიანი, შეკრული სახით გალობა. ვისაც გალობის შესწავლა სურს, მან აუცილებლად უნდა მოისურვოს ნამდვილი მთქმელების ფონოგრაფიები.

ფონოგრაფიებიდან ჩვენ მიერ აღდგენილ იქნა ქართული გალობა — სიმღერის ბგერათწყობა, რომლის მიხედვითაც გამოჩნდა სხვადასხვა კილოს ნამდვილი სახე და სამგვარი მოდულაცია, სრულიად სხვა მანძილი ინტერვალებს შორის — სეკუნდიდან სეპტიმის ჩათვლით, ვიდრე ეს ხდება ტემპერაციაში. ტემპერაციაში მოქცეული გალობა-სიმღერა კარგავს ქართული მუსიკის ბუნებრივ სიმღიდრეს. ნათქვამის დასადასტურებლად მარტივი მაგალითიც კმარა: ვთქვათ, მოდულაცია ხდება დო მაჟორიდან უახლოეს ტონალობაში, მაშინ იცვლება, სულ მცირე, ერთი ნიშანი, ანუ ერთი ბგერა; ხოლო თუ ხდება უახლოესი მოდულაცია ქართულ წყობაში (როგორც წესი, სამი სახის მოდულაცია ყოველთვის ხდება ერთი საფეხურით ზევით ან ქვევით, მხოლოდ ეს საფეხურები სამივე შემთხვევაში სხვადასხვა სიმაღლისაა, ე.ი. იმის მიხედვით, თუ როგორი მოდულაცია წარმოებს), მაშინ აქ იცვლება ოცდაერთი ნიშანი, ანუ ოცდაერთი ბგერა. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რამდენად იზღუდება გალობა-სიმღერა ტემპერაციის შემთხვევაში. ვინაიდან ჯერჯერობით

სხვა გამოსავალი არა გვაქვს (ამისათვის ცალკე სამეცნიერო და სასწავლო ერთდროული ცენტრი უნდა შეიქმნას), ამიტომაც ტემპერაციაში უნდა შევეცადოთ, რომ სანოტო ჩანაწერები რამდენადმე მაინც მიუახლოვდეს ტრადიციულ კილოურ ჟღერადობას.

ჩვენ ხელთ არსებული სანოტო ხელნაწერები საკმაოდ შორსაა ნამდვილი ჟღერადობისაგან. ისინი ჩაწერილია XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე ნოტის მცოდნეების (ფილიმონ ქორიძე, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი), ან უშუალოდ მგალობლების (მღვდლები კარბელაშვილები, მღვდელ-მონაზონი, შემდგომში ილუმენი წმ. ექვთიმე (კერესელიძე), მღვდელი, შემდგომში დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე) მიერ, რომელთაც სახელდახელოდ შეისწავლეს სანოტო სისტემა. ფასდაუდებელია მათი ღვაწლი. თითქმის ოცდაათი წელი გრძელდებოდა ნოტებზე გადატანის პროცესი, რაც წარმატებით დასრულდა. ეხლა ჩვენ ხელთაა საღმრთისმსახურო ციკლის ყველა წიგნი გალობით, მათ შორის: მწუხრი, ცისკარი, წირვა, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, პარაკლისები, პანაშვილის, საღვთისწავლო საგალობლები თავისი ტროპარ-კონდაკებით, როგორც სადა ასევე გამშვენებული სახით და სხვ. სულ დაახლოებით 8000-მდე საგალობელი. მაგრამ საქმე მოითხოვს, უდიდესი მოკრძალებით აღვნიშნოთ მათი უნებლიე ნაკლიც: ნოტის მცოდნეებმა ნაკლებად იცოდნენ გალობა, არ გააჩნდათ პრაქტიკული გამოცდილება, ალბათ, არ ესმოდათ სხვა ბგერათწყობასთან და სირთულესთან რომ ჰქონდათ საქმე. აქედან მოდის მათ მიერ დაშვებული მრავალი ცდომილება. მგალობლები კი საერთოდ არ იცნობდნენ ტემპერირებულ წყობას. ისინი იწერდნენ საგალობლებს ხუთხაზიან სისტემაში და, ბუნებრივია, ქართულ წყობასა და კილოებში აზროვნებდნენ, ამიტომ ხმათა სწორი მიმართულების დაფიქსირება გამოუვიდათ მხოლოდ. ამდენად, მათი ხელნაწერები, გასწორების თვალსაზრისით, გაცილებით რთულია, ვიდრე ნოტის მცოდნეებისა (მაგ. ქორიძის). მაინც ყველაზე კარგად, ძირითადად თბილისელი მგალობლების მიერ შესრულებული აღმოსავლური სკოლის საგალობლებია ჩაწერილი. ჩვენი აზრით, ამ საგალობლებში ოდნავ, მაგრამ მაინც განიცადა რღვევა საეკლესიო ბგერათწყობამ და გარკვეული მიხრილობა გაუჩნდა ტემპერაციისაკენ, რაც მათ მიერ გამოცემული კრებულიდანაც ჩანს. მგალობლების ჩანაწერები ნიშნების თვალსაზრისით უკეთეს მდგომარეობაშია და მათში, ასე თუ ისე, ჩანს მოდულაციის ერთი სახე.\* ამას მოკლებულია დასავლეთ საქართველოში შესრულებული ჩანაწერები. ძალზე სამწუხაროა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს საგალობლო კილოს ფონოჩანაწერები თავის დროზე არ შესრულებულა. გამონაკლისია ბატონ კახი როსებაშვილის მიერ 60-იან წლებში ჩაწერილი ქაშუეთის მგალობელთა რეპერტუარი.

წინამდებარე კრებული „ქართული გალობა“ პირველი ტიბიკონური გამოცემაა. ქართული კანონიკური გალობის აღდგენის დაწყებამ დღის წესრიგში დააყენა მისი გამოცემის აუცილებლობა. სასიხარულოდ, იზრდება ქართული გალობის შემსწავლელთა რიცხვი, რომელთათვის აუცილებელია საგალობელთა მსგავსი კრებულის მიწოდება. ასეთი სქელტანიანი კრებულის შედგენა დიდ შრომას, ცოდნასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს, რადგანაც კრებულის შედგენა სრულიად არ ნიშნავს სანოტო მასალის მექანიკურ გადაწერას.

კრებულში შესულია საგალობლები დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებიდან,\*\* მის მიერვე 1911 წელს გამოცემული კრებულიდან - „ქართული გალობა ლიტურდია: იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა“, ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერებიდან\*\*\* და ფილიმონ ქორიძის მიერ 1895 წელს გამოცემული კრებულიდან (პარტიტურა №1). რ. ხუნდაძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერები, კილოს თვალსაზრისით, თითქმის მსგავსია, რადგან მათ ხშირი მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან.

\* განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ფილიმონ კარბელაშვილის მიერ გამოცემულ „შობის ძლისპირში“.

\*\* ინახება ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრში (ხელნაწერი № 2121)

\*\*\* ინახება ინახება კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში Q კოლექციის №672, №673, №674 ხელნაწერები.

თუ რომელიმეს საგალობელი გამოჩნებოდა, მაშინ ერთმანეთს სთხოვდნენ დახმარებას: ესა და ეს საგალობელი გამოძრჩა და გამოძიგზავნეო. ვინაიდან გალობის შესწავლა სადა კილოდან იწყებოდა (გალობის სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით იხ. Q 674 ხელნაწერი, გვ. 189, „შთასახელი“), კრებულში ძირითადად შესულია გელათისა და მარტვილის მონასტრების სამგალობლო სკოლის ღამისთევის ლოცვის და წირვის ძირითადი და აუცილებელი სადა კილოს საგალობლები. ზოგიერთ სადა საგალობელს წარმოდგენისათვის დავურთეთ ამავე საგალობლის მეორე ვარიანტი, რომელშიც ნათლად ჩანს გამშვენების პრინციპი (მაგ.: №73-74; №162-163; №201-202; №203-204 საგალობლები), თუმცა აღნიშნული საგალობლები არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ გამშვენებად. ასეთი ტიპის გალობა გახლავთ ერთგვარი გარდამავალი სახის კილო (ე.წ. ნამდვილი კილო, როგორც მას უწოდებდა წმ. ექვთიმე) სადა და გამშვენებულ კილოთა შორის.

საუკუნეების განმავლობაში ქართული გალობა თაობიდან თაობას ნეკმირებული, ძირითადად კი ზეპირი ტრადიციით გადაეცემოდა. გალობა მონასტრებიდან ეფინებოდა მთელ საქართველოს. თავდაპირველად ეს დაიწყო ტაო-კლარჯეთში. შემდეგ სამგალობლო ცენტრმა გადაინაცვლა გელათში, მარტვილში, შემოქმედში, ალავერდში, იყალთოში, ანჩისხატში. საუკუნეთა განმავლობაში სანოტო ნეკმაცია იცვლებოდა. გალობა იმდენად საყოველთაო იყო, რომ გაჭირვების დროს თურმე მეჯოგეც კი გალობდა, და შეეძლო მარტოს წირვის წაყვანა. ვინაიდან ძველად გალობა ეკლესია-მონასტრებში ისწავლებოდა, შემდგომში ესა თუ ის ეკლესია-მონასტერი იწოდებოდა სკოლად ან კილოდ. ასეთი სკოლები, როგორც მოგახსენეთ, მრავლად იყო საქართველოში. ამდენად, უფრო მართებულად მიგვაჩნია, ნაცვლად გურულ-იმერულ, ქართლ-კახურ კილოდ წოდებისა (რაც, უთუოდ, კუთხურობის ელფერს იძენს), მოვისხენიებდეთ გალობას ამა თუ იმ მონასტრისა თუ ეკლესიის სამგალობლო სკოლის ან კილოს სახელით (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ მომდევნო კრებულის წინასიტყვაობაში). საქართველოში არსებულ სხვადასხვა საგალობო კილოს საფუძვლად უდევს ერთიანი ქართული სადა, ანუ კილოზე თქმული გალობა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა თავთავიანთი გვარი სადა გალობისა, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდებიან.

კრებული სამ ნაწილად იყოფა: მწუხრი, ცისკარი და წირვა. რამდენადაც ერთი კრებული ამის საშუალებას იძლეოდა, მასში რვა ხმისა და თვითხმოვანი საგალობლებიც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. მაგ: რვა ხმის გალობათაგან მთლიანადაა წარმოდგენილი რვა ხმა „უფალო, ღაღად-გყავ“ თავთავიანთი „ღმრთისმშობლისანით“; ასევე რვა ხმა „ღმერთი უფალი“ შესაბამისი „აღდგომის ტროპარებით“, რვა ხმა ცისკრის სახარებისა და რვა ხმა კვირიაკეთა წირვის წარდგომანი. წირვას ასევე მღვდელმთავრის საგალობლებიც ერთვის (ბუნებრივია, კრებულში ლოცვის საგალობლები სრული სახით ვერ შევიდა. მისი თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე გამოცემას მოითხოვს).

ხელნაწერზე მუშაობა (რედაქტირება) საკმაოდ რთული და მეტად საპასუხისმგებლოა. აუცილებელი იყო ყოველი საგალობლის გასწორება ნიშნების თვალსაზრისით და თვით ჩანაწერის ხარისხის გაუმჯობესება, ე.ი. ჯერ უნდა გვეპოვა საგალობლის კილო, შემდეგ რამდენადმე მიგვესადაგებინა ტემპერირებული წყობისათვის და გასაღებში დაგვესვა შესაფერისი ნიშნები. ყველაზე რთული მაინც კილოს პოვნის საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ პრობლემურია, რადგან საგალობლებს მხოლოდ ერთ კილოში არ ამბობდნენ. მაგ.: დორიულში ან ფრიგიულში ყოველთვის ხდებოდა მისი სახეცვლილება დღესასწაულებისა თუ კვირიაკეების მიხედვით. ვინც დაკვირვებია ქორიძის მიერ ჩაწერილ აღდგომის ძლისპირებს, შეამჩნევდა, რომ ყველა ძლისპირი ერთ გარკვეულ კილოშია მოქცეული, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხმაზეა გაწყობილი. ავიღოთ რომელიმე ფრაზა ორ ვარიანტად:

I ვარიანტი II ვარიანტი

მაგალითიდან ნათელია ის კილოური სხვაობა, რომელიც ამ ერთი ფრაზის ორი ვარიანტიდან ჩანს. ე.ი. როგორც ეს ფრაზა, ასევე ხელნაწერი საგალობელი შეიძლება რამდენიმე კილოში განვიხილოთ. ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ შეიძლება კიდევ დავუშვათ უნებლიე შეცდომა – ყოველთვის სწორად ვერ განვსაზღვროთ საგალობლის კილო. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბგერათწყობა ნაპოვია, რომლის მიხედვითაც ჩანს სხვადასხვა კილო ბუნებრივი სახით, ჯერჯერობით მაინც გასარკვევია ის წესი, თუ რომელ კილოს ირჩევდნენ რომელიმე კერძო შემთხვევაში ტექსტისათვის ხმის დასადებად. კილოს გამოცნობის თვალსაზრისით უდიდესი დახმარება გაგვიწია ძველ მგალობელთა ფონოჩანაწერებმა და ასევე პრაქტიკულმა გამოცდილებამაც, რომელმაც ინტუიციური შინაგანი ბიძგი მოგვცა. რაც შეეხება ხელნაწერებზე მუშაობას, სანოტო ჩანაწერის ხარისხის გაუმჯობესებას, აქ საქმე გაცილებით იოლია, რადგან ტექნიკურ სიძნელებებთან გვაქვს საქმე, რომლის გადალახვაშიც პრაქტიკული საქმიანობა გვეხმარება. მაგალითად: ხელნაწერებში მოცემული ოთხი მეოთხედი ზომის ნაცვლად, უმჯობესია, საგალობლის მუხლების ზომა საერთოდ არ მივუთითოთ; მივუთითოთ ტემპი და ტაქტის ხაზიც მხოლოდ მუხლის ბოლოს დავსვათ, როგორც მაკოორდინებელი საშუალება. ზოგიერთ შემთხვევებში თავს უფლება მივეცით მუხლებში ოდნავი სახეცვლილების შეტანისა, განსაკუთრებით კი მუხლის ბოლოს. მოვიყვანთ ორ მაგალითს: ამ შემთხვევაში საბოლოო სახე დედანთან შედარებით ორჯერ განიცდის სახეცვლილებას.

დედანი ნიშნებით გასწორება საბოლოო სახე

დედანი ნიშნებით გასწორება საბოლოო სახე

მართალია, ხელნაწერი არის დოკუმენტი, რომელშიც ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, მაგრამ ჩვენი აზრით, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი იგი გარკვეულ მიზანს ემსახურება. მთავარია არ დაირღვეს სადა გალობის კანონიკა. თუ ზოგჯერ ვუშვებთ მცირედ სახეცვლილებებს, ამას ვაკეთებთ ხან ტემპერაციიდან გამომდინარე (რომლის დროსაც, პირველ ვარიანტში კვინტაზე დამთავრებას უნისონი ვარჩიეთ), ხან კიდევ (მეორე ვარიანტში), ცოცხალი შესრულებიდან გამომდინარე, სამხმოვანებაზე დასრულება (რაც საგალობლებში ხშირად ხდება) კვინტაზე დაბოლოებით შევცვალეთ, რაც ბუნებრივია ქართული ტრადიციული მუსიკალური აზროვნებისათვის. კრებულში შესწორებულია რამდენიმე ტექსტიც: კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის რედაქციის მიხედვით – მწუხრის „ნათელი მხიარული“ და წირვის „მხოლოდშობილო“; ხოლო წირვის „რომელნი ქერუბიმთა“ და „და ვითარცა“ გასწორებულია „უძველესი იადგარის“ მიხედვით.

წმ. ექვთიმე (კერესელიძე) ცისკრის სქელტანიან ხელნაწერ კრებულს ასე ამთავრებს: **„დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე, ძალო ცხოვრებისა ჩემისაო, რამეთუ რომელი არა ვიცოდი, მადლითა შენითა ვისწავლე, და რომელი არა შემეძლო, შემძლებელ მყავ დაწერად წიგნისა ამისა მხიარულებით. . . და აწ მშრომელი წარვალს, ხოლო ნაშრომსა ამას შეგვედრებ შენ, რათა ჰკიებდეს ერთა შორის ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“**

ჩვენი სულმნათი წინაპრის ეს სიტყვები ზარივით რეკავს ჩვენს გულში. იგი მოგვიწოდებს ვიაროთ იმ კვალზე, რომელიც ნაწრთობია ათასწლეულების მანძილზე და რომელმაც მხოლოდ კეთილი ნაყოფი გამოიღო. იგი, ასევე, არ გვაძლევს არანაირ საშუალებას, ჩვენს მარგალიტებზე უარი ვთქვათ და ძებნა სხვაგან დავიწყოთ. . . პირიქით, წინაპართა საქმის გაგრძელება, ჩვენ მიერ ამაზე გაღებული ძალისხმევა და ღვაწლი საშუალებას მოგვცემს ჩვენ, ქართველებს, გვქონდეს ჩვენი ღირსება და ნიშანი, რათა ორგანულად შევერწყათ იმ მშვენიერებასა და მრავალფეროვნებას, რომელიც თავად უფალმა ღმერთმა აკურთხა. ამ მშვენიერებაში კი ქართული გალობა ბრწყინავს, როგორც მკაფიოდ მოკაშკაშე ვარსკვლავი.

ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ „ქართული გალობისათვის“ დაგვეერთო რაჟდენ ხუნდაძის მიერ 1911 წელს გამოცემული კრებულის წინასიტყვაობა უცვლელი სახით. ეს წინასიტყვაობა უკვე ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს. მისი დაბეჭდვა აქ აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან მასში წარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც დღეს მეტად გვაწუხებს, თუმცა იმდროინდელი მდგომარეობა, უკეთესობის მხრივ, ჩვენსას ბევრად აღემატება.

*მ. ერქვანიძე*

## წილის იტვირთვა

საზოგადოთ,\* იმერეთში 1850 წლამდის ისე გავრცელებული იყო ქართული გალობა, რომ თვალსაჩინო ოჯახი მკვირთ მთავრებდა, რომ გალობა არ სცოდნოდათ. ღვღელთ-მთავრებს, მთელათ ეველა საეკლესიო წიგნების მცოდნე გალობები ევადათ და მთელი საღვთო მსახურება გალობით სრულდებოდა. დიდსა და საშუალო დღესასწაულებზე ღამის თვეით ლოცვა, რომ დაიწყო, და, საწინასწარმეტყველოს გარდა, რომელ საგალობელსაც თავზე ხმა უწერია ეველას გალობით იტვირთენ. სახარების კათავეების შემდეგ, ჰირველი სძლისწირიდან დაწვებული მეცხრე გალობის კათავებამდი, ერთი რომელიმე მუნლის უგალობათ წაკითხვა შეუძლებელი იყო. ეველა დიდი წმინდის დღესასწაულებზე თუ მთლათ არ იტვირთენ გალობით, სამწუსრო დასდებლებს და საცისკრო სძლისწირებს მაინც იგალობებდენ. გარდა ამისა, ამგვარ დღეების საგალობლებში ძლიერი, საგულისხმო სიტყვების მუნლები უთუოდ გალობით იცოდნენ.

აუარებელი გალობა საეკლესიო წიგნებში დაუწერელი ძველთა გალობლებთან შესხმათ თქმული, საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებისა და სხვა წმინდანების სახელობაზე (გალობის ხმაზე თქმული), როგორც სასულიერო შინაარსის, აგრეთვე საერო, რომელიმე გარემოების გამომხატველი, რომელსაც მოლხენის დროს იტვირთენ ნადიმზე. ღამისთვეითი ლოცვაში, თუ ორი გუნდი გალობდა, ორი კანანარხი ევადათ: „იმერ და ამიერ“ ტიბიკონისამებრ. დაიწყო ლოცვა თუ არა, მთავრებოდა ეკლესიას ლოცვის მსმენელი, ასე, რომ ეკლესიაში ტევა ძლიერ იყო. ამგვარ საღვთო მსახურების მოსმენით, სულით და გულით დამტკბარნი მლოცველები, სრულიად ვერ ამხსნევდენ გალობის მიხეზით ლოცვის სიგრძეს; წმინდა, საღვთო აზრებით გატაცებულნი, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ, ძლიერ, ძლიერ, სულ გვიან ურიგდებოდენ საამქვეთო სრუნვათა ფიქრს და მოქმედებას, რადგან სასაყებით დამტკბართ, კვლავ გულიდან არ შორდებოდათ ეკლესიაში ნაგრძობი სულისა და გულის დამამძვირებელი საღვთო სიტყვები და ურთა სმენის დამტკბობი, ზეცად გონების აღმავლენელი ხმები. ამ დროს ქართულ გალობას „ოქროს ხანა“ უდგა ხვენში და დიდებულათ ევაოდა იგი. ერთაშორის კი, ქორწილი და ნადიმი ნახევარ ლოცვას წარმოადგენდა: თან სმა-ჭამა და მხიარულება იყო და თან ღვთის სადიდებელი სძლისწირების ღაღადი. რომელ ქორწილსაც გალობა არ ამკობდა, არ ამხიარულებდა, ის ქორწილი უმნიშვნელო იყო. ჯერ „მამაო ხვენო“-ს იგალობებდენ და მერმე ღზინს ჰირველად ღვინის დალოცვიდანვე დაიწყოდნენ ასე: „დიდება აქვს ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე სტუმრებს და მანწინძელსა, — შენღობა ბატონო“.\*.\* სამ დღეს რომ გავრცელებულიყო ნადიმი, ერთსა და იმავე გალობას არ გაიმეორებდენ. რომ სხვადასხვა გალობების სათაურები მის-მის დროზე დაუგვიანებლათ მოგონებოდათ, ამისთვის გალობლებს შემდეგი ხერხი ქონდათ შემოღებული: დაიწყოდნენ ჰირველათ ისეთ გალობას, რომელნიც „ა“-ნით იწებოდა; შემდეგ „ბ“-ნით და ასე „მ“-იემდისაც დავიდოდნენ თუ საჭიროება მოითხოვდა. ასე გავრცელებული იყო ხვენში ქართული გალობა; მეტისმეტათ უეგრდათ, მეტისმეტათ ჰატიუნემული იყო საზოგადოებისაგან კარგი გალობელი და ამიტომაც ეველანი სიამოვნებით და გულსმოდგინეთ სწავლობდენ და კიდევაც კარგათ და მტკიცეთ იცოდნენ.

ამის შემდეგ ნელ-ნელა „დრონი იცვალენ“, ახალი სწავლა-განათლების სიომ დაბერა და ახალი, მოხარდი, თაობა მას დაეწაფა. სიერმიდან მუდამ დღე, მუდამ წამში, უცხო ხმების ურში ჩაბერვამ, ძალაუნებურათ შეახვია, შეუსინჯნორცა უცხო ხმები, ისე რომ ქართული ხმები ქართველის სულსა და გულს ძველებრივის შეახვდათაც ვეღარ ათბობს (მე უფრო, გადაკვარებულზე მოკახსენებთ). გალობის სასწავლათაც ეველანი სლავიანურისა და უცხო ხმების სასწავლათ მიიღტვის, რადგან აქედან მეტს ლუკმას მოელის და ასე ამ გვართ იელო ქართული გალობის გავრცელებამ საზოგადოთ ხვენში და დღეს მეტს უურადლებას თხოულობს იგი, რომ კვლავ შემობრუნდეს. შემობრუნებისათვის კი, მიუცილებელი საჭიროა, ისევე, იმ ძირი გალობიდან დაწევა, რომლიდანაც მომდინარეობს გურულ - იმერული რთული და გავარჯიშებულ - გადაკრიმანჭებული გალობა, რომელიც ასე მხელი შეიქნა

\* სტილი დაცულია.

\*\* აქ იწებოდა სადღევრძელოები, რომელსაც „მრავალკამიერ“ მოყვებოდა. როდესაც სადღევრძელოები სამადლოებლს დალემდა, მგალობლები „მადლოებელი ვარ“-ს იტვირთენ. ღზინის წესრიგი კი ასეთი იყო: მეფე-დღეოფლის სადღევრძელოს გათავეების შემდეგ მაყრულს იტვირთენ, „მეფეო“. მერმე: „უკუნისამდე“, „ქორწილი წმინდა“, „მოსვლისა შენისა“, „გვირგვინი მკლავმა ძლიერმა დაგადგა“, „განელო სასძლო, განემზადა ქორწილი“, „ვერიდა“ და სხვა და სხვა . . . ეს გალობები ჭრელებია, გრძელი და სასიამოვნო საყურებელი თავისი კილო მიმხვრით. ყოველი სადღევრძელოს დასასრულ იწებოდა სხვადასხვა „სძლისწირ-საგალობლები“. სადღევრძელოებზე გალობა შეჩერებული იყო. ასე, ამგვართ გრძელდებოდა ღზინი.

მისი შესწავლა გავრცელება თავისი სიძველით (ვკულისხმობ ჩვენი ხელმძღვანელობით ქორიძისაგან გადაღებულ ვალობას, რომელიც კენ-კენათ აწვევა, უძრავთ). ფიქრობთ, ეს ჩვენგან გამოცემული წირვის ვალობა იქნება ანბანი ამ მოხსენებულ დიურფასი ვალობისა. ამ კილო სადა ვალობის გავრცელების შემდეგ, ეგებ მანინ ედირსოს მასაც დაბეჭდვა-გავრცელება. ეს ჩვენგან გადაღებული ვალობა არის, სადა და მარტივი, საადვილო კილო, რომელსაც ვალობდენ ჩვენში თითქმის უკანასკნელ დროდის. ის ვალობის ბრწინავაღე ხანა, რომელსაც ჩვენ ზემოთ „ოქროს ხანა“ ვუწოდეთ, ვერ ითქმნა გავარჯიშებულ ვალობას და საუკეთესო ვალობლებთან ვერავინ ვაბედავდა ერთხელვე დაუძინებულ კილოს სხვაგვარათ შებრუნებას. ეველანი და ეოველგან სადა კილოზე ვალობდენ. ვალობის გავარჯიშება (ხმის ტრიალი) შემოიღეს, როგორც ვიცით გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას დროს, გურიანში.\* ამ დროიდან ნელნელა გავრცელდა იმერეთისა და მეგრეთის ენარქიებშიას. ამ უკანასკნელათ, ბოლო დროს სადა კილოზე აღარც კი ვალობდენ ეველსიანში. ამგვარათ, სადა კილოს სწავლება ვადავარდა იმ მოსწავლეთა შორის, ვინც ნამდვილ ვალობლათ არ ემზადებოდა, რომელიც იშვიათათ ჩთებოდა და ისე ვინც სწავლობდა, ჰირდაჰირ გავარჯიშებულათ სწავლობდა, რომ მამინეუ თქმა დაეწყო ვალობლებთან, ეველსიანში. ამ მიხნით, ვისაც ჰირველათ სადა კილოზე არ უსწავლია ვალობა, ის ეოველთუვის დამორებულია ვალობის ბუნებრივ სინამდვილეზე და ვერც შეატყობს თვითონ სწორეთ ვალობს, კილოს შეთანხმებით, თუ არა. ვისაც ჰირველათ სადა კილოზე უსწავლია ვალობა, მას ეოველთუვის ახსოვს ნამდვილი მოტივი, კილო, უცვლელათ და თუ ავარჯიშებს, კილოს შეთანხმებით აწარმოებს ხმის ტრიალსა და სასიამოვნო მიმოხვრას. ამგვარათ, კილო (სადათ თქმა) არის საფუძველი ვალობისა და გავარჯიშება იმის შედეგია.

სასწავლებლებში ვალობის მასწავლებლობამ უტყუარათ დამარწმუნა, რომ რომ ვამშვენებული და ხმის ტრიალით ვალობის სწავლება და გავრცელება ეოველად მოუხერხებელია. ეს მე ძალიან ძალე შევამხნიე და რადგან სპეციალისტი და მუსიკალურათ განსწავლული არ ამოხთა ისეთი, რომელსაც ეტვირთა ეს შრომა, ხარჯი და ვადაელო, ეს სეოლებში მიუცთომელათ საჭირო ვალობა სადა კილოზე, მე თვითონ შეუდექი ამ შრომას, სადა კილოზე ვალობის ვადაღებას. ვადავიღე წირვის წესები, ღამისთევის და სხვა მრავალი საგალობლები. ამის საჭიროება მოვასხენე იმერეთის სამღვდელთების დეპუტატთა კრებას. კრებამ ვადაწვეტიტა, რომ ჰირველათ დაბეჭდილიყო წირვის წესები ერთ ხმაზე, მერმე ღამისთევის ღოცებები და სხვა და სხვა. დაბეჭდა მართლაც წირვა, ჰირველი ხმა, მაგრამ დანარჩენი დარჩა მხოლოდ ვადაწვეტიტება ქალაღდზე. ასე ეოველთუვის სასოვადო საქმე. დღეს ამ

\* მთავრის დროს იყენენ საუკეთესო მგალობლები: იოანე ცქიტიშვილი და მგალობელი ანთაძე (ნიკოლოზ); მთავრის გუნდს ანთაძე ლოტბარობდა და დედოფლისას ცქიტიშვილი. მთავრის ვალობლები კილოზე ვალობდენ, დედოფლის ვარჯიშით. საჭიროთ მიგვარჩია აქვე აღვნიშნოთ 1840 წლიდან ყოფილი საუკეთესო და მთელი ვალობის მცოდნეთ ცნობილი მგალობლები;

იმერეთის ეპარქიაში: 1) დავით ჩხარელი (ასე უძახდენ) შოთაძე; 2) არქიმანდრიტი სიმონ (წულუკიძე); ძმა მისი 3) თავადი ყარამან წულუკიძე; ძმანი: 4) სინო, 5) იოანე, 6) ბესარიონ კანდელაკი; 7) ოქროპირ კანდელაკი; 8) გოგინა დავითის ძე შოთაძე; 9) სიმონა კუტი ფირცხალავა (ხონის „სობოროზე“ იყო და ავრცელებდა ვალობას); 10) ანტონ ქუთათელაძე, დეკანოზი (ამ ანტონს, როგორც გამიგონია, ჭალაგანიძის ქალი ყავდა, რომელიც სრული მგალობელი იყო); 11) ნიკიფორე კანდელაკი სინოს ძე, არქიმანდრიტი (როგორც ვიცით, მთელათ წიგნები იცოდა ვალობით, მარა ცუდი ხმის მიზეზით აღარ ვალობდა; სამაგიეროთ ძალიან საქები კანანარხი იყო);

გურიანში: 12) იოანე ცქიტიშვილი; 13) მგალობელი ანთაძე (ასე უძახდენ) ნიკოლოზ; 14) დეკანოზი იოანე გოგტიძე; 15) მღვდელი გიორგი დუმბაძე; 6) ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე; 17) დეკანოზი დავით ანტონის ძე დუმბაძე (დღესაც არის); 18) იულო დუმბაძე; 19) ღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი; 20) მაქსიმე წეროძე;

მეგრელიაში: 21) გიორგი ჭალაგანიძე (გურიიდან ვადმოსახლებული); 22) დიმიტრი ჭალაგანიძე; 23) როსტომ ჭალაგანიძე; ძენი მისნი: 24) ოსია, 25) გიორგი, 26) დიტო ჭალაგანიძეები (დიტო დღესაც არის); 27) გიორგიტა გეგეჭკორი; ძე მისი 28) იოანე გეგეჭკორი; 29) არჩილ ივანეს ძე გეგეჭკორი; 30) სიკო გეგეჭკორი; თავადნი: 31) დავით (დათიკა) ჩიქოანი (მთავრის სახლთ უხუცესი); ძმა მისი 32) იოანე ჩიქოანი; 33) ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი ბესარიონ (მთავრის დადიანის ძე); ამან ზედმიწევნით იცოდა ქართული ვალობა და როცა 1813 წელში ჟამმა ამოწვეტიტა მეგრელიაში ვალობლები, ამ ბესარიონ მიტროპოლიტმა ასწავლა სრული ვალობა ზემოთ დასახელებულ როსტომ ჭალაგანიძეს და მით შემოაბრუნა მეგრელიაში ვალობა.

ესენი ზემოთ ნაჩვენებ დროის საუკეთესო და სრულ მგალობელთაგან დავასახელეთ. 70-იან წლებიდან კიდევ იყენენ საზოგადოთ იმერეთ-გურია-მეგრელიაში და ზოგნი დღესაც არიან 12 საუფლოს მცოდნე მგალობლები, რითაც ვათავდა ძველ საუკეთესო მგალობელთა ნაშთი აუარება ვალობის მცოდნენი, რომელთა მსგავსი აწი შეუძლებელია მოვებნოთ. აი კიდევ ის მგალობელნი: ნიკო მეძმარიაშვილი; ოქროპირ კანდელაკი (მღვდელი); ივლიანე წერეთელი (მღვდელი); რაფიელ კანდელაკი; ნიკოლოზ კანდელაკი; თავადნი: დათა გუგუნავა; მელქისედეკ ნაკაშიძე; არჩილ დადიანი; ჯამბაკურ გურიელი; ძმები მისი: ტელემავუ და ვახტანგ გურიელები; ყურამან თავდგირიძე; სეფე გუგუნავა; სიმონ გუგუნავა; აგრეთვე: არისტო ქუთათელაძე; ნანო ზაბთასი; ნესტორ კონტრიძე (მღვდელი); მელიტონ ქელაპაიანი; თემურაზ გეგეჭკორი; მ. სვანიძე; ალექსანდრე ფლენტი; იესიკა ფლენტი; დავით ჯინჭარაძე (მღვდელი); მერაბა ცქიტიშვილი; კოსტანტინე თავდგირიძე; ასლან ერისთავი (რაჭისა) და სხვა;

წიროვის გალობის ზარტიტურათ გამოცემა იტვირთა ბ. ესტატე სოლომონის მე კერესელიძემ, რისთვისაც დიდი მადლობის და ზატივისცემის ღირსია, რასაც ჩვენც სინარულით მივეცებეთ.

აქ ჩვენი შეძლებისა და გვარად ავსწერეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა ჩვენში და დღეს რა მოსპობის ხანას განიცდის ეველა ვხედავთ. ჩვენმა წინაპრებმა მეტის შრომითა და ღვაწლით შექმნეს ეს ძვირფასი ქართული ხმები, ქართული გალობა. სირცხვილია ჩვენთვის, დღეს, მეოცე საუკუნეში, ამ დიდებული რამ გამოგონების ხანაში, ძველთაგან და დღემდის მოწვენილი გალობა რომ დაკარგოთ. ეს გალობა ჩვენი, ქართველი ხალხის გულიდან ამოღებული ჰომია; იმ დროს შექმნილი და ქართველთა სულისა და გულთან შესისხლსორცებული, როცა სარწმუნოება მტკიცე, ძლიერი იყო და როგორც ქართველთა ხმები, ისე ენა-ხნე, წესი და უოველი ელფერი ქართველს თავისი საკუთარი ჰქონდათ და არ იყო შერეულ გადამანინჯებული სხვათა წაბამებით. ამ მხრით გულსაკლავია დღეს გალობის მდგომარეობა ჩვენში. ქართული ხმები გარყვნეს, გადამანინჯეს. ხმებს მარტო წიროვის წესზე ვამბობთ; ახა „რვა ხმათა“ და დღესასწაულის საგალობელთა შესწავლის მსურველი სადღაა?! . . ვინაც ორიოდე ნოტები შეისწავლა, ჩაიკდეს ხელში ეს საცოდავი წიროვის წესი და ჯიჯინიან! . . . ეველა მონდომებულია სხვა და სხვა გვარი ხანე მისცეს, თავის კემოზე გადააკეთოს ე.ი. ქართული სიტყვები მოუწეროს სლავიანურ სხვა და სხვა გალობათა ხმებს, ამ სიმანინჯით თავი მოსწონთ და სირცხვილათ არ მიანხიათ ის, რომ ერთი უბრალო ტროპარი არ იცინა გალობით ქართულათ. სამწუხარო ის არის, ერთი მასწავლებელი და მათი მოწაფეები, მეორე სასწავლებლის მასწავლებელთან და მათ მოწაფეებთან ვერ იტყვიან, რადგან უოველ სასწავლებელში თავისებურებაა. ამ გარემოებით და ხალხის თქმულებით: ცუდათ ჯდომას, ცუდათ შრომა სჯობსო — გაუბედე და ვაწვდი ამ ხემს მცირე შრომას, ვისაც ქართული გალობის მასწავლებლობა უკისრია, ისეღმძღვანელთს ამ ნაშრომით და ნუ დაიკარგება, იმ საცოდავ მამაზაზათაგან (საცოდავი ჩვენ ვართ, ისინი კი, დიდებულნი) ნაშთი და ნაგალობევი ეს წიროვის გალობა მაინც და დაკარგვათ ის აუარებული და უთვალავი გალობათა დაკარგვაც გვეყოფა რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, თუ რომ მას არ გამოუხიებთ აღმადგენელი ღვთის მოუვარე და საქმის მოკეთე ამ მცირე ხანში, რადგან მერე, დღეს რაც დაუკარგავია, იმის მცოდნეც აღარ გვეყოლება, კიდევაც რომ მოინდომოს ვინმემ მისი აღდგენა.

ჩვენში, ჰირველ დაწეებითი კილო წიროვის გალობისა, უოველთვის მარტივი იყო. ღვდეღთ-მთავრის წიროვაში კი, უფრო რთულათ ამბობდენ. რადგან წიროვის წესთაგან ზოგი გალობები სხვა და სხვა გვარათ იგალობება, ჩვენ ვეცადეთ და გამოკერიბეთ და რაც უფრო საადვილო იყო ის დაეწერეთ, მისთვის, რომ ხანეში გვექონდა გაადვილება შესწავლის მსურველთა და განსაკუთრებით სოფლის სკოლების მასწავლებელთა და მოწაფეთათვის. აგრეთვე ვიმეცადინეთ, რომ ბევრი ნიმუხები არ ქონდა, რომელიც სწავლების დროს სიმხელეს შეადგენს (ბემოლები, დიეზები, ატაკაზები და სხვა). თუ ზოგიერთი გალობები დაბალი, ან მაღალი ტონით არიან დაწერილი, გონიერ ლობზარს უოველთვის შეუძლია მოსწავლეთა ხმის შესაფერი ტონით ავალლობოს. ზოგან თითო ტაკტში ერთის მაგიერ ორი ნოტები დაუსწერეთ; ერთ წეებას მაღლა აქვს ფენები და ერთს დაბლა; ან ერთი უნდა ითქვას და ან მეორე. ჩვენ არ შეგვიძლია დავიტრანახოთ, რომ ეს წიგნი შეუცთომელი გამოცემაა. შეიძლება ბევრი შეცთომაც იყოს შიგ, მაგრამ ამას კი ბუჯითად ვიტყვით, რომ კილო ქართული, მამაზაზურია და უცხო ხმებით შეუბღალავი. ვისურვებ, რომ ეს წიგნი გამხდარიყოს ჩვენი ქართული გალობის გავრცელების მიზეზათ.

*მღვდელი რეკდენ ხუნდაძე*

1911 წელი

## INTRODUCTION

Little is known about Georgia and its musical culture among musical circles of the contemporary world. Except for few examples no one is aware of the significance and high level of this culture. It should be noted from the beginning that familiarization with the ancient Georgian music will become sensation and discovery for real admirers of true music. Everybody, after having been acquainted with the Georgian polyphony, regards Georgia as the centre of vocal polyphony. This opinion is shared by famous experts.


The following book about one of the branches of ancient Georgian music - Church hymns is the excellent means for the concerned to get acquainted with musical art of Georgia. A few words should be said about ancient Georgian music.

